## საერთაშორისო ურთიერთობები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნიდან. მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS +, HORIZON, MEVLANA და სხვა).

### ERASMUS+ ფარგლებში ხელშეკრულებები გაფორმებულია შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრი (AZW) (ავსტრია)
- ლიეჟის უნივერსიტეტი (ბელგია)
- პლევენის სამედიცინო უნივერსიტეტი (ბულგარეთი)
- ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტი (გერმანია)
- მიდლსექსის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- ჩესტერის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- კარდიფის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი)
- ტალინის ჯანდაცვის კოლეჯი (ესტონეთი)
- ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- დიჯლეს უნივერსიტეტი (თურქეთი)
- პიზის უნივერსიტეტი (იტალია)
- სასარის უნივერსიტეტი (იტალია)
- პავიის უნივერსიტეტი (იტალია)
- პერუჯის უნივერსიტეტი (იტალია)
- ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯი (ლატვია)
- ლიეტუვას ჯანდაცვის მეცნიერებათა უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
- კლაიპედას გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
- პოზნანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- პოვისლანსკის კოლეჯი კვიძინში (პოლონეთი)
- შჩეცინის დასავლეთ პომერანიანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- იან კოხანოვსკის სახელობის კელცეს უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია)
- კოიმბრის უნივერსიტეტი (პორტუგალია)
- ტირგუ მურეშის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებების და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- კრაიოვას მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- იულიუ ჰაციეგანუს მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- არისტოტელეს სახელობის თესალონიკის უნივერსიტეტი (საბერძნეთი)
- ტულუზის პოლ საბატიეს სახელობის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- პარიზის ვალ–დე–მარნის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- კონსტანტინე ფილოსოფოსის სახელობის უნივერსიტეტის ნიტრაში (სლოვაკეთი)
- დებრეცენის უნივერსიტეტი (უნგრეთი)
- ზაგრების უნივერსიტეტი (ხორვატია)
- ზადარის უნივერსიტეტი (ხორვატია)



## საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 33

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი, პირველი სართული, ოთახი №111

(+995 32) 254 24 08

# ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი

tsmu.edu

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ძირითადი ამოცანაა მოამზადოს კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტები.

ფაკულტეტზე მოქმედებს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ოთხწლიანი ქართულ- და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები. სტუდენტები სწავლობენ რეაბილიტაციის პრინციპებს და პროგრამებს, რეაბილიტაციის სისტემის ორგანიზაციას და პრაქტიკას, თანამედროვე სარეაბილიტაციო მეთოდებს და ტექნოლოგიებს, მათ გამოყენებას საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, რესპირაციული და სხვა სისტემების დაზიანებებისა და დაავადებების დროს.

პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში და ეძლევა პროფესიული საქმიანობის საშუალება კომპეტენციის ფარგლებში.

დიპლომისშემდგომი განათლების ორწლიანი ეტაპი ემსახურება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტთა მომზადებას რეაბილიტაციის კონკრეტულ მიმართულებებში, რაც გულისხმობს გაფართოებულ კლინიკურ კომპეტენციებს და სამეცნიერო კვლევის განხორციელების უნარ–ჩვევების შეძენას. ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრს შეუძლია აირჩიოს აკადემიური კარიერა. განათლების მესამე, დოქტორანტურის სამწლიანი ეტაპი კვლევაზეა ორიენტირებული და სრულდება სადოქტორო ხარისხის დაცვით ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.

# საბაკალავრო პროგრამები

**ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა:**
სწავლის წლიური ღირებულება საქართველოს მოქალაქეებისათვის – 2250 ლარი

**ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა:**
უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის – 3000 აშშ დოლარი

# სამაგისტრო პროგრამები

**პედიატრიული რეაბილიტაცია** - 3500 ლარი
**რეაბილიტაციაში მრჩეველი** - 2900 ლარი
**რეაბილიტაცია სპორტში** - 2750 ლარი

# კარიერული სქემა

